http://kancelaria.cloud.gov.ge/nomfileserver//GetFile?file

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA99018049451221

№ 1074/ს

15 / მაისი / 2018 წ

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. დუშეთში ლიტველი ფოტოხელოვანის იონას დოვიდენასის ნამუშევრების გამოფენასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მოწვეული სტუმრების მიღებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევის თაობაზე

მ/წლის 14 მაისს, ქ. დუშეთის კულტურის სახლში, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლიტვის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა ლიტველი ფოტოხელოვანის იონას დოვიდენასის ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენას ესწრებოდნენ ლიტვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში გედრიუს პუოჯუნასი, კულტურის ატაშე ივეტა გედვილაიტესი, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეთ რუდი, უკრაინის ელჩი იგორ დოლგოვი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელი სარა ეზელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ვიდას კავალიუსკასი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

სტუმრების ორგანიზებულად მიღებისათვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან საჭიროა გაწეულ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯი 1670 ლარის ოდენობით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ქ. დუშეთში ლიტველი ფოტოხელოვანის იონას დოვიდენასის ნამუშევრების გამოფენასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მოწვეული სტუმრების მიღებისათვის, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული მერიის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან გამოიყოს 1670 ლარი;

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით თანხის გადარიცხვა;

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ზურაბ სეხნიაშვილი